საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3010/01
28/03/2022

3010-01-2-202203281020

შპს „ჯორჯია მეტალს“
მის: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. არგვეთა
ელ. ფოსტა: gochagveto@mail.ru

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2021 წლის 6 დეკემბრის N21849 განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სამინისტროში ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივას“ მიერ 2022 წლის 3 თებერვალს წარმოდგენილ იქნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. არგვეთას მოსახლეობის კოლექტიური განცხადება N1606, აღნიშნულ განცხადებაში სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს უკვე მოწყობილია და ფუნქციონირებს ერთი ფეროშენადნობთა ქარხანა, რომლის მიერაც მოსახლეობა უკვე შეწუხებულია ეკოლოგიური პრობლემებით, ისინი საპროექტო საწარმოს ფუნქციონირებით ხედავენ გარემოს არსებული მდგომარეობის გაუარესების საფრთხეს. წარმოდგენილი წერილობითი შენიშვნები ასევე ეხება კომპანიის მიერ უნებართვოდ განხორციელებულ მოწყობით სამუშაოებს და აღნიშნულ ეტაპზე პროექტის შესახებ მოსახლეობის არაინფორმირებულობას. ზემოაღნიშნული საკითხები, კერძოდ სოციალურ-ეკონომიკური, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების და სხვა საკითხები ასევე განხილული იყო 2022 წლის 26 იანვარს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა საქარაში გამართულ საჯარო განხილვაზე. გიგზავნით აღნიშნული საჯარო განხილვის ოქმს და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. არგვეთას მოსახლეობის განცხადებას.

ამასთან, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2022 წლის 17 მარტის წერილის თანახმად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთაში მცხოვრები მოქალაქეების განმარტებით, საწარმოს ტერიტორიაზე განხორციელებულმა სამშენებლო სამუშაოებმა გამოიწვია მათი საცხოვრებელი სახლების დაზიანება (კედლების დაბზარვა)

და მოითხოვენ კომპანიის მიერ საკომპენსაციო თანხების ანაზღაურებას ან განსახლების საკითხის განხილვას.

საჯარო განხილვაზე მოსახლეობამ მოითხოვა, რომ შპს ,,ჯორჯია მეტალის“ მხრიდან გამართულიყო შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, რაზეც კომპანიის წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე ვინაიდან საწარმოს ტერიტორია მდებარეობს დასახლებული პუნქტისა და საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს, საჭიროა სამინისტროში წარმოდგენილ იქნეს აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით საწარმოს გავლენის ზონაში არსებულ მოსახლეობასთან კომუნიკაციის (მათთან შეთანხმების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის (სიხშირის) პროცედურების შესახებ, შესაბამისი მარშრუტის მითითებით და ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი; ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სამუშაო რეჟიმის (სამუშაო დღის დაწყების და დასრულების საათის მითითებით) შესახებ. ასევე აღნიშნული გეგმა-გრაფიკის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია, სადაც მათ შორის გათვალისწინებული იქნება ექსპლუატაციის ეტაპზე ნედლეულისა და პროდუქციის ღამის საათებში ტრანსპორტირების აკრძალვის საკითხი და ნედლეულისა და პროდუქციის ძარაგადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირება.

გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში. აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

დანართი: ტექსტის თანახმად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე